ცნობის ფურცელი
სურათებიანი დამატება

დამატების № 129. კვირა, 22 ივნისი 1903 წ. გაზეთის № 2188.

# მოულოდნელი გაქცევა

გინცელინისა.

ხელში ქუდი ეჭირა და, ის იყო, უკანასკნელად შეჰხედა ქალს. ფანჯარასთან იდგა, ყვავილებში, პალმას ნამგალა ფოთლებს ქვეშ. იმის მოხდენილ ტანადობას ჩამავალი მზე ვარდისფერ სხივებით დაჰკონებოდა. კეფისკენ ავარცხნილი და მოზრდილ ნასკვად შეგრეხილი შავი თმა თაიგულად ხდიდა ჰაეროვანი საზაფხულო ტანისამოსში მყოფს არსებას. დედა იჯდა განზე, ვიღაცას ელაპარაკებოდა და არც კი შეუნიშნავს, როგორ გამოეთხოვა ვაჟი იმის ქალს. ცქრიალამ—თითქო ნეტარებით დამტკბარამ—მოქანცულ და მომხიბლავ თვალებითა და მათრობელ ღიმილით გადაჰხედა თავის მოტრფიალეს, ხელი ჩამოართვა და ოდნავ ამოიოხრა.

საღამოს ტკბილ-ბინდი იყო, ქუჩაზე რომ გამოვიდა ვაჟი. გამოსვლისათანავე ჰაერის რაღაც უხილავმა და საოცნებოდ გამტაცებელმა სიტკბოებამ თავბრუ დაახვია, დაათრო. რა იყო, რა მოხდა? მოჰბერა ბაღიდან (რომელიც სახლის წინ იყო) არსებისაგან კეთილ განწყობილებისა და ნუგეშის რაიმე ნიშანს, მაგრამ მაინც თითქო ორივესაგან გაუგებარი რაღაც მიზეზი უშლიდა ყველა ამას. არც ქალი იყო ისეთი მიუკარებელი რამ ალნაგი, მაგრამ იმასაც რაღაც მიუწდომელი თავდაჭერილობა ეტყობოდა:

ხშირად ყურს არ უგდებდა კაცის ლაპარაკს, ან-და ისე იქცეოდა, თითქო კაცის ლაპარაკის ნამდვილი აზრი არც კი ესმისო: ყოველ იმის ხმის მიმოხრაში ვითომდა რაღაც მეგობრული კილო, რჩევა ისმოდა: „დაანებეთ თავი ყველა ამ სისულელეს, ღმერთმანი, უკეთესი იქნებაო!“ მაგრამ კაცს მაინც ეგონა: არც ისე გულგრილად მიყურებს ქალიო.

ხშირად ვაჟი შავ-ფიქრებით იყო ძოცული და უიმედობის ჰმუნვა გულს უღრღნიდა, უკლავდა, მაგრამ არც მაშინ შეამჩნევინებდა ქალს თავის მწუხარებას და მაინც კიდე ჩუმად თვალ-ყურს ადევნებდა, როდესაც ის გარშემორტყმული თაყვანის მცემლებით ნიავივით მიჰქროდა ბაღის ხეივანში და მომხიბლავის სიკეკლუცით ისწორებდა მოხდენილ ტანისამოსს. ამ დროს ისა ჰგავდა რიგიანსა და მზრუნველ მასპინძელს, რომელიც ერთსა და იმავე დროს საზოგადოებასაც ართობს და თავის ოჯახის წვრილმან საქმეებსაც არ ივიწყებს.



ყანაში.—ესკიზი გოგიაშვილისა.

იასამანის საუცხოვო სუნმა... კაცმა შეუხვია მდინარისკენ და შეჰყვა იმის ნაპირს.

„უჰ, როგორც იქნა, მეღირსა ბედნიერება! ორის თვის წინად ძნელი წარმოსადგენი იყო, როგორ ვიტანჯებოდი იმისთვის!“

მართლაც, ისეთი შეწუხებული იყო მაშინ ვაჟი, რომ სალმობიერს ჰგავდა: მუდამ მოელოდა იმ ცოცხალ და მშვიდ

ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ქალი მარტო იმას არ აქცევდა ყურადღებას: მთელი დღე განუწყვეტელ ფაცა-ფუცში იყო, მაგრამ მაინც მუდამ ცოცხალი, ცქრიალა და აუმღვრეველი! ტყუილა დაუწყებდა კაცი ძებნას ამ მკვირცხლ არსებაში მოქანცულობას. ქალი ასეთი იყო, ვაჟი კი რაღაც გამოურკვეველ გარემოების გამო ერთობ ღონე მოშვებული და მოდუ-

ნებული შეიქნა; სულს ჰლაფავდა და გულიც ამიტომ მეტად უმძიმდა...

მაგრამ, აი, დღეს საღამოს ამ გარემოებაში მყოფ ქალს უეცრად ფერმა გადაჰკრა: ხელში ვაჟის ხელი ეჭირა და აღარ უშვებდა... ორივე პირისპირ იდგნენ. ამ წამს ქალი ისე მინაზებული იყო, რომ კრძალვის გამო ზეციურ, ზღაპრულ უმან-



მრეცხავნი.—სურათი სუძა-ჰინტოსი.

კოებას ემსგავსებოდა. პირიდან სიტყვა აღარ ამოსვლია. ვაჟი კი მთელის თავის არსებით, ყოველ თავის ფიქრით ცხადად ჰგრძნობდა, თუ რანაირად ვერხვის ფოთოლივით უთრთოდა ქალს ტან-წელი. კაცმა ველარ მოითმინა, წასძლია მომხიბლაობამ, გადაეხვია, დაეკონა გიჟივით, გადაჰკოცნა საოცნებო ფარვანა და მთელის თავის არსებით ჩაიკრა გულში. ეტყობოდა, დიდის ხნის ლოდინის შედეგი იყო ეს აღტაცება და აღფრთოვანება!

ამ წამს კაცს გულიდან ამოსქდა უნებლიეთ სიამოვნების ღრმა ოხვრა, თითქო ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ტანჯვას გადურჩა. ქალიც კი—თუმცა უნდა შემკრთალიყო ამ გარემოებით—დასძლია ეს გატაცებული გრძნობა და ტკბილი თრთოლვა და რაღაც სხვა საგანზე ჩამოუგდო ლაპარაკი. ამდროს ქალის არსებაში იხატებოდა რაღაც განუსაზღვრელი წრფელი და გულ-ახდილი ნდობა; იმისი ცხოველი და სხივიანი თვალები წყნარად და მშვიდად ჩასცქეროდნენ კაცს გრძნობის სიღრმეში, თითქო რაღაცას ეჩურჩულებიან და ეკითხებიანო.

ამ ახალს და მოულოდნელ ატმოსფერაში მყოფი კაცი ქალს ველარ სცნობდა. იმათ კიდევ გადაჰკოცნეს ერთმანეთი და მერე ბაღის ხეივანში გაისეირნეს... იქ მთელი ორი საათი ჰუკჰუკებდნენ. ამ ჟამად ქალი უფრო მჭევრ-მეტყველი აღმოჩნდა კაცზე. უკანასკნელს ვერც კი წარმოედგინა, თუ იმისი სატრფო ასეთის ოცნებით იყო სავსე. ქალი თითქო სრულის მორჩილებით ეძლეოდა ვაჟს. ერთ წამს ქალის ამგვარმა მოქმედებამ ეჭვში შეიყვანა ვაჟი, ჰახეს ხომ არ მიგებსო, მაგრამ რომ დააკვირდა სახეს დარწმუნდა იმის გულწრფელობაში. ქალი ისე გახალისდა, რომ ლაპარაკად გადაიქცა: ერთ წუთსაც არ შეჩერებულა იმისი ენა. მხოლოდ ეს კი იყო, რომ ლაპარაკის დროს, რაღაც კრძალვით, სულ წინ იხედებოდა.

კაცი ბედნიერად, ნამდვილ ბედნიერად ჰგრძნობდა თავს და არც გასამტყუნარი იყო: ვინ იცის, რამდენი ხანია მიზნის დასასრულს ეძიებდა და ჰპოვა კიდეც?!

კაცი თავის ბედნიერებაზე ჰფიქრობდა, როცა დაბრუნდა სახლში. შევიდა თუ არა თავის კაბინეთი, რომელიც ბაღისაკენ იყო, მაშინვე გააღო ფანჯრები, ველარ ეტეოდა ოთახში... ეძებდა ვილაცას. ეს საიდუმლოება იმისმა ნათესავებმა და ნაცნობებმაც შეუტყეს და თითქო დასცინიანო ისე დასცქეროდნენ კაბინეტის კედლებზე ჩამოკიდებული მათი სურათები. ვაჟი მიიჭრა ფანჯარას თან, შესუნთქა სრულის გულით გამაცოცხლებელი და წმინდა ჰაერი. ბინდდებოდა კიდეც. მწუხრის ტრედისფერი ზეწარი ჯერ კიდე სავსებით არ გადაჰფარებოდა ქვეყნიერებას და, მაშასადამე, არც ხეებს და ჩირგვებს შორდებოდა დიდებულ მნათობის სხივი... ამას ისიც დაუმატეთ, რომ წვიმის შემდეგ სველ დედამიწას რაღაც თბილი მათრობელი ორთქლი მოსდებოდა და ოთახში სურნელების საამოდ გაჟღენთილი ნიავი მოსქდა. ეტყობოდა, აქაც გაშლილიყო იასამანი!

ვაჟმა ერთხელ კიდე მოიგონა, გაითვალისწინა წარსული, კიდევ წარმოიდგინა თვალწინ სატრფო თავის შვენებით, მოაწადინა, აღედგინა კიდეც ყოველი თავისი შეხედულობა ამ ქალზე, მაგრამ ამაოდ...

ის ველარა ჰხედავდა ქალში წინანდელს მტკიცეს და თავდაჭერილ ხასიათს. ამაზე საკვირველი უფრო ის იყო, რომ სხვანაირად არც წინად იცნობდა ქალს ვაჟი და რაღა ეძლო ეძებდა მასში სხვას?

ძალდატანებულმა ოცნებამ თვალწინ დაუხატა ქალის ასეთი სურათი: სახე ამაყი, მოძრაობა მკვირცხლი და წამოსადეგობა მოხდენილი. ყველა ამას უსაზღვრო წარმტაცი ხასიათი ჰქონდა ვაჟის თვალში გუშინ, მაგრამ დღეს... ეჰა!.. ის აღარ იყო! დღეს ქალის ყოველი ფიქრი ჩვეულებრივ ფიქრად ეჩვენა და თან, როგორც უეცარი რამ დისსონანსი, ისე წარმოუდგა ქალის გატაცებული მორჩილება. ქალის მდგომარეობაც რაღაც სხვა შეიქნა: ის რაღაც ფანტაზიის გამოურკვეველ მორევში ინთქებოდა. ეს ასე იყო, მაგრამ ბოლოს იგი მაინც შეეკითხა თავის თავს უეცრად: „რა ვქნა!.. ეს რა მემართება? რამ მომხიბლა ასე ამ უკანასკნელ თვეებში?!“

მეტად ცხადად, ცოცხლად და არა სასიამოვნოდ ეჩვენა ქალს წარსული... წარსული ისეთის ობიექტიურის სინამდვილითა და სისწორით გადაიშალა იმის თვალწინ, თითქო ამხანაგის, მეგობრის, კერძო კაცის ცხოვრებას იგონებდა...

ვაჟის მხრივ კი სულ სხვა იყო. იმის თვალში ქალი მაინც რაღაც საოცნებო შვენიერი და მომხიბლავი არსება იყო. ეს უეჭველია. ან რა გასაკვირველია, ეს რომ ასე ყოფილიყო? ის ხომ იმისთვის დაიტანჯა, ეწამა? ეჭვმაც ხომ კინაღამ ბოლო მოუღო? კიდევ მაინც ვაჟი რაღაც ბუნდად და გამოურკვევლად ჰგრძნობდა თავის მდგომარეობას: ვაი, რომ პირველი და საოცნებოდ მომხიბლავი ძალა, რომელსაც ვაჟი ჯაჭვით ჰყავდა შებორკილი, გასწყდა და დაიმსხვრა მას შემდეგ, რაც ქალი ვაჟს ყელზე მოეხვია!..

ვაჟმა განიცხოველა გონებაში თავის ვნება-სურვილის ყველა ფაზისები, მოიგონა ის ღამეები, როცა იმის თვალს რული

80 ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ეკარებოდა; გაიხსენა ის ტანჯვა, რომლის მსხვერპლი იყო მუდამ დღე. ხან იქამდის მივიდოდა, რომ წაივლებდა საფეთქელში ხელს, თითქო ეს ქცევა ცნობაზე მოიყვანდა, და იმისი სანეტარო ფიქრიც ვითომ ხორციელდებოდა. მაგრამ გრძნობა მაინც არ იყო კმაყოფილი და ასეთი გარემოება ქმძიმებოდა... შედარებით წინანდელ უსაზღვრო სურვილთან. თუ არა ამას, სხვას რას უნდა შეეწუხებინა ამგვარად, თუ ღმერთი გწამთ, მითხარით?

ვაჟს უნდოდა პატიოსნად ძოქცეულიყო, სცდილობდა არ ევერაგნა, მაგრამ... ახლა ჰგრძნობდა ისეთ მდგომარეობას, თითქო ვიღაც ტკბილ ნანინას უმღერდა იმ სიამოვნების მორევში, რომლის ზვირთებმა მშრალ ნაპირზედ გადისროლა და გარიყა.

მაგრამ რას ვამბობ? განა სისულელე არ არის ესა? აბა რა შესადარებელია მშრალი ნაპირი ამ გარემოებასთან?!

ისევ თვალწინ დაეხატა ვაჟს ახალგაზდა ქალის სახე, წარმოუდგა ის დრო, როდესაც თავს ევლებოდა, ჰკოცნიდა წარმოუდგა ისევ ის ბედნიერი მომენტი, როცა ქალი საოცარი რამ და საკვირველი სანახავი იყო! დიახ, სწორედ... ერთობ და ერთობ საოცნებო სანახავი,—განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქალი პირველად ათრთოლდა იმის მუხლებზე... ამ მოგონებამ კინაღამ ჭკუიდამ შეჰშალა კაცი, ისე გაიტაცა!

მერე?

დასწყევლოს ღმერთმა! ნუ თუ სიცრუვეა ყოველთვის საჭირო? მერე? მერე ის, რომ ამის შემდეგ ქალი ვაჟისთვის ისეთივე შეიქმნა, როგორც სხვა ყველა... მიუდგომელად რომ შეჰხედოს კაცმა ყველა იმას, რაც ვაჟს შემთხვევია, აღმოჩნდება, რომ ქალი არ იყო რჩეული, არამედ ისეთივე ჩვეულებრივი, როგორც სხვა ყველა.

ვაჟი, დაღონებული, გაოცებით ადარებდა დიდი ხნიდან სანეტაროდ სასურველ ქალის კოცნას... სხვა ქალების კოცნას. მართალია ისიც, რომ სხვა ქალების კოცნას, იყო დრო, რომ ნაკლებად აფასებდა, მაგრამ ეხლა... ეხლა კი იმის გონებაში ტრიალებდა ის აზრი—და იძულებულიც იყო გამტყდარიყო—რომ, თუმცა პირველი მომენტი ზეციურ სიამოვნებას ჰგვრიდა, მაგრამ შემდეგ ყველა გასწორდა, გაჰქრა, განსხვავება აღარ სჩანდა სხვებთან შედარებით.

იმ ქალისაგან ვაჟი მოელოდა რაღაც უმაღლეს, უზენაეს, მიუწდომელს, უკეთესს, მაგრამ ეხლა? ვაი, რომ ეხლა აქაც, სამწუხაროდ, ეჭვი შეეპარა.

რასა იქ? თურმე, სამწუხაროდ ასე ემართება ყველას! მართალია, კაცი ყურს არ უგდებდა ქალის ლაპარაკს, მაგრამ იმის ყურადღებას მაინც შეჰპაროდა პირმოთნეობა. ამ დროს ის დიდის სიამოვნებით აიღებდა რამ წიგნს, რომ ეს შესაძლებელი ყოფილიყო.

საოცრად აღელვებული იყო ვაჟი. გული მოსწყდაო, იტყოდა ადამიანი. ამ დროს უეცრად, სულშეგუბებულმა, ერთი ღონივრად ამოისუნთქა, თითქო ამდენ ხანს თოკით აღრჩობდნენო, და დაიძახა: „ევრიკა!“ მიიჭრა ფანჯარასთან, სადაც ბაღიდან იასამნის საამო სურნელება უხვად ეფრქვეოდა თავზე. ჰოი საკვირველებავ და ახირებულებავ! ქვევით კედელთან დაინახა ბიჭი და გოგო: უკანასკნელს წურბელასავით ჩაჰკონებოდა პირველი და გაგიჟებით ჰკოცნიდა; გოგოს კი, დამთვრალს თავის სატრფოსგან, მხრებზე ხელი მოეხვია.

„საცოდავო!“ იფიქრა ვაჟმა: „შენც ჩემი განსაცდელი მოგელის!“ მაგრამ ეს რომ გაიფიქრა, უცებ ენაზე იკბინა: „ეს რა წამოვროტე, განა ეს შესაძლებელიაო? უთუოდ სისულელის ნიავმა გამოსტყორცნა საიდანღაც, თორემ ეს ჩემის დაკვირვების შედეგი როგორ იქნებოდაო?!“ დიდის თანაგრძნობით ადევნებდა თვალ-ყურს შეყვარებულებს, სანამ ქალი არ დაჰფარა იმის თვალისაგან ხშირ-ბინდის ზეწარმა....

ვაჟი ისევ სავარძელში ჩაჯდა მაგიდის წინ. მაგიდა იდგა შუა ოთახში.

ეხლა საეჭვო აღარ იყო, რომ იმას ქენჯნიდა ყოველ მხრით რაღაც ისეთი დაუკმაყოფილებლობა, რომელსაც იმისკენ მიემართა თავისი ისრები. რაც ეგონა, იმაზე უარესი იყო ეხლა ეს წუხილი! ამავე დროს იცოდა კიდეც და კარგადაც ჰგრძნობდა, თუ რა გატაცებით მიისწრაფოდა სულით და გულით იმ ქალისკენ. რაც მოხდა, კიდევ უფრო სასიამოვნოდ მიაჩნდა. ამიტომაც გადასწყვიტა, წასულიყო ქალის დედასთან მოსალაპარაკებლად. იმისი სატრფოც, რასაკვირველია, ამას მოელოდა. უეცრად ამ დროს ქვეიდან მოისმა ვიღაცის ფრთხილი სიარული: უცხო ვინმე ბაღის კედელთან მიდიოდა. ამ გარემოებამ თითქო რაღაც უმიზეზოდ შეაყენა ვაჟის განზრახვა...

„დედასთან მოლაპარაკება... დიახ, ეს საჭიროა, მაგრამ მერე?“ ამ სიტყვაზე ვაჟი ისევ ოცნებას მიეცა. წარმოიდგინა, თუ როგორ დაბინავდებოდნენ ორივენი ერთად. ამ მომავალმა ახალმა მდგომარეობამ კიდე უფრო გამოურკვეველ მო-



თიბვა.—სურათი ჰანრი მარტენისა.

„რას ვუმალავ ჩემს თავს? უკეთესი არ არის, პირუთვნელად აღვიარო, რომ იმის შემდეგ ისეთ არსებად აღარ მეჩვენება?! უმჯობესი არ იქნება, მოვშორდე... დროებით?“ ამბობდა თავის გულში.

იქნება, ისიც კი ჰსურდა, რომ ქალი წასულიყო?!

რევში გადასტყორცნა ვაჟი... „მიქარვაა!..“ ხომ იცოდა, რომ ახალ ბინაზე უნდა გადასულიყო? კი, მაგრამ ამას რომ სხვა რამე მოჰყვება! აბა, რა? ისა, რომ ამის შემდეგ ერთ სტრიქონსაც ველარ დასწერს, რადგან მეორე ოთახში იმისი სატრფო იქნება. მაშინ ის ველარც კი იმუშავებს ღამე ოთხ საათამ-

დის და ვეღარც იძინებს მეორე დღის პირველ საათამდის თავის გემოზე. თან უფრო და უფრო ხშირი მნახველი გახდება მომავალ სიდედრისა და ცოლის ნათესავებისა, ე. ი. იმისთანა ადამიანებისა, რომელთაც მხოლოდ მაშინა ჰხედავს ხოლმე, როცა მოეხალისება.

მერე? მერე, რასაკვირველია, უბავშვოდ საქმე არ გათავდება. ეს ბავშვები ხომ კიდე უფრო გაორკეცებენ იმათ ალერსს და გულის-თქმას და განა ამგვარ ვიწრო და შემოზღუდულ სფეროში კაცი არ მოდუნდება, არ მოეშვება სულით?

უთუოდ შვილები არიან, რომ მოხუცებულობაში სიცოცხლეს ამშვენებენ? დიახ, დიახ, ეს ასეა...

ამ მოსაზრების შემდეგ წარმოუდგა, რომ იმას აქვს ნამდვილი ნიჭი, ცოლშვილს მოეკიდოს. შეუდგება კიდეც და არც შესცვლის თავის ზნე-ჩვეულებას. აქ ისიც გადასწყვიტა, რომ დროა „ცქრიალა საპატარძლოებს“, — რომელთანაც არა ერთხელ გაუტარებია დრო საღამოობით პოტსდამის ხიდთან და ალერსით დამთვრალა,— თავი დაანებოს, ბოლო მოუღოს. მართალია, ხშირად ისეთებთანაც ჰქონია ბაასი ამ ხიდთან, რომელნიც მეტად მომხიბვლელნი იყვნენ თავისუფალ და გამტაც-ამღელვებელ ქცევით, მაგრამ რა ვუყოთ? ეს ხომ წარსულს ეკუთვნის! ეს კიდე არაფერი! დაქორწინების შემდეგ შენს ნებაზე უბრალო მოგზაურობასაც ვეღარ განიზრახავ და ვერც მოახერხებ, ესე იგი უცბად, უთქმელად ვეღარ გაუდგები გზას...

„ნუ თუ ყველა ეს ასე უნდა გათავდეს და საუკუნოების ბნელ სიღრმეში ჩაინთქეს? ნუ თუ ჯვარის-წერის შემდეგ თავისუფლება უნდა მოისპოს? ეს არის განა თავისუფლების ტრფიალების შედეგი? ეს არის ბედნიერება?“ ამ შიშმა შებორკა ვაჟი; ცივმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში და დიდ საგონებელში ჩააგდო. ეს რომ სხვას დამართოდა, ვაჟი მაშინვე გამონახავდა რამე კომიკურ მომენტს, მაგრამ ეხლა სასაცილოდ და სახუმროდ აღარ ეცალა.

სიყმაწვილე დაუდეგარია და ალვირ აუსხმელი, ამიტომაც ვაჟი ვერ წინააღუდგა იმას: უეცრად გაიღვიძა მასში რაღაც თავშეუკავებლობამ, ხოლო ამას რაც მოსაზრება მოჰყვა, ეს ხომ ძველი ჰეშმარიტებაა...

ვაჟი ხედავდა თავის წინ ოცნებით წარმოდგენილ ბავშვებს და უცბად შეკრთა: „ნუ თუ ვეღარ ვიშრომებ ისე, რომ არ მიშლიდნენ? ნუ თუ ვერ ვიმგზავრებ ჩემს ნებაზე?“

ვაჟი გამოვარდა კარიდორში და დარეკა.

—ექვსი საღამური პერანგი, ექვსი გახამებული საყელო... ერთის სიტყვით, რაც სამ კვირას მეყოფა და მომინდება, ეხლავე ჩაალაგეთ!..—მიაძახა ხმა მაღლა აღელვებულმა ბატონმა თავის შვეიცრის ცოლს.

ქალი აჩქარდა.

—ეხლა ათის ნახევარია, თერთმეტზე მიდის მატარებელი მიუნხენში... ჩქარა... ჩქარა... ჩქარა!—ფაცურობდა და გარბი-გამორბოდა ვაჟი კარიდორში.

ათის წუთის შემდეგ ვაჟი ეტლში იჯდა. წასვლის დროს გადასწყვიტა, ინსბრუკიდან გამოეგზავნა წერილი, რომელშიაც უნდა ეამბნა ქალისთვის მართლად და პატიოსნად ეს მწვავი, მაგრამ აუცდენელი ჰეშმარიტება. ჰფიქრობდა—და დარწმუნებული იყო კიდეც—არ იწყენს, რადგან ყველაფერს გულახდილად ვუამბობ. ეხლავე არა სჯობს, გონიერად განვშორდეთ, შემდეგში აუცილებელ განქორწინებას?

ჩაჯდა თუ არა ეტლში, მაშინვე უბრძანა მეეტლეს, ჯერ შატულერშტრასზე წასულიყო, რადგან ერთი საათი კიდევ იყო მატარებლის გასვლამდის.

დიდი სასტუმრო ოთახი გაჩაღებული იყო ის... ის მღეროდა და როიალზედაც თითონვე უკრავდა. ზაფხულის ღამის ბნელ წყვდიადში მოესმა ვაჟს ბეთჰოვენის ზეამტაცი, ნაზი მელოდიები. მომღერლის ხმაში ისმოდა რაღაც ღრმა, უსაზღვრო, უზრუნველი და უშფოთველი ბედნიერება...

ვაჟს თითქო დამბლა დაეცა ამ ხმაზე, ისე შეეკუმშა ხელები... გულის სიღრმეში თითქო რაღაც მოსწყდა, ჩამოიქცა და მწვავად დასჭრა.

გაშმაგებულმა ჰკრა ხელი მეეტლეს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიაძახა: „გასწი, ჩქარა, ჩქარა, თორემ დაგვიგვიანდება!“

არ. ქ—მე



საჯარო მატარებლებით მოგზაურობა ჩვენში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 21 Іюня 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.